



თბილისის სააპელაციო სასამართლო
სასამართლო სხდომის
ოქმი

07 ნოემბერი, 2012 წელი

ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა
სხდომის თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი - თეა ტიღინაშვილი

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“

წარმომადგენლები - ირმა მახათაძე, ნინო გუჯარაიძე (აღმასრულებელი დირექტორი)

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

წარმომადგენლები - მამუკა ივანიაშვილი, ნაზი სამხარაძე

მესამე პირები - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია, შ.პ.ს. „დარიალი ენერჯი“

წარმომადგენლები - გიორგი ბარქაია, დავით კუხიანიძე, ირაკლი ჟორჟოლიანი

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება

სხდომა დაიწყო 16:15 საათზე.

სხდომა დამთავრდა 17:25 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს.

სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სხდომის მდივანს პროცესის მზადყოფნის შესახებ
მოსახსენებლად.

სხდომის მდივანი მოახსენებს:

პროცესზე მოწვეულ პირთაგან გამოცხადდნენ:

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ერთვის საქმეს) და მისი წარმომადგენელი - ირმა მახათაძე (რწმუნებულება ერთვის საქმეს, საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის №3354).

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები - მამუკა ივანიშვილი, ნანა ზამთარაძე (ბრძანება №-287 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, ერთვის საქმეს).

მესამე პირის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის წარმომადგენლები - გიორგი ბარქაია, დავით კუხიანიძე (მინდობილობა ერთვის საქმეს)

მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენელი - ირაკლი ჟორჟოლიანი (რწმუნებულება ერთვის საქმეს ტ. I, ს.ფ. 248).

სხდომის თავმჯდომარე არკვევს გამოცხადებულ პირთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-212-ე მუხლების შესაბამისად აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე და აცხადებს სასამართლო შემადგენლობას:

სხდომის თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილიეიშვილი
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი - თეა ტიღინაშვილი

სხდომის თავმჯდომარე ეკითხება მხარეებს აცილება ხომ არ აქვთ სასამართლო კოლეგიის ან სხდომის მდივნის მიმართ?

მხარეებს სასამართლო კოლეგიის და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

სხდომის თავმჯდომარე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 383-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს საქმის გარემოებებს, პირველი ინსტანციის სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილს და მხარეებს აძლევს სიტყვას, შუამდგომლობების დასაყენებლად და დასასაბუთებლად.

სხდომის თავმჯდომარე ეკითხება მხარეებს, ხომ არ აქვთ შუამდგომლობა ან რაიმე წარმოსადგენი დამატებით?

მხარეებს შუამდგომლობები ან რაიმე წარმოსადგენი დამატებით არ აქვთ.

იწყება მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის ეტაპი:

სხდომის თავმჯდომარე ახსნა-განმარტებისათვის სიტყვას ამღვეს აპელანტ - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელს - ირმა მახათაძეს;

აპელანტ - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე მხარს უჭერს და აქვეყნებს სააპელაციო საჩივარს, მოითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკამყოფილებას. დამატებით განმარტავს: გთხოვთ ყურადღება გაამახვილოთ ტომი I, ს.ფ. 50-59 განთავსებულ 2011 წლის 28 ნოემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობის შემადგენლობაში შედის: სათავე ნაგებობა (კაშხალი, სალექარი, თვსხავალი); სადერივაციო სისტემა (სადერივაციო მილსადენი, სადერივაციო გვირაბი) და ძალური კვანძის ნაგებობები (გამათანაბრებელი შახტა, სადაწნეო შახტა, ჰესის შენობა, გამყვანი გვირაბი და არხი, საკაბელო გვირაბი, სამომსახურეო გვირაბი, ღია ქვესადგური). მაშასადამე სადერივაციო სისტემა რომელიც ჰიდროელექტროსადგურის შემადგენლობაში შედის განთავსებული არის 2.64 ჰა ტერიტორიაზე, რომელიც 2011 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ყაზბეგის ეროვნული პარკის კუთვნილ ტერიტორიას, მაშინ როდესაც „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში 2012 წლის 28 მარტს განხორციელებული ცვლილებების შედეგად იქნა ამოღებული ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან 2.64 ჰა ტერიტორია. მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით დამტკიცებული კანონიერების პრინციპი, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევით განახორციელოს რაიმე ქმედება, მოცემულ შემთხვევაში კი ფაქტობრივად დადასტურებულია, რომ სახეზე გვაქვს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მიგვაჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ 2011 წლის 28 ნოემბერს გამოცემული ბრძანება №ი-50, როგორც ფორმალური ისე მატერიალური თვალსაზრისით არ შეიძლება იყოს მიჩნეული კანონიერად, რადგან დარღვეულია მისი გამოცემის, მომზადების კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, ასევე გასაჩივრებული აქტი ეწინააღმდეგება მისი გამოცემის დროისათვის მოქმედ კანონმდებლობას.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე: თქვენ სადაოდ არ გაგიხდიათ ის გარემოება, რომ 2.64 ჰა ტერიტორია ყაზბეგის ეროვნული პარკის შემადგენლობაში აღარ შედის?

აპელანტ - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე პასუხობს: განსახილველ დავაში აღნიშნულ გარემოებას სადაოდ ვერ გავხდით, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეტანილი გვაქვს 2012 წლის 30 იანვარს, ხოლო 2012 წლის 28 მარტს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად იქნა ამოღებული ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან 2.64 ჰა ტერიტორია. აღნიშნულზე ჩვენს მიერ სარჩელი არ არის შეტანილი სასამართლოში. თუმცა კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა როდესაც მიმდინარეობდა ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივამ“ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარუდგინა თავისი მოსაზრებები, რომლითაც დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ამ ცვლილებების განხორციელება არ შეიძლებოდა.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე ეთანხმება წარმომადგენელს, წერილობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება რომელიც გამოაქვეყნა და დაერთო საქმეს.

16:55 საათზე გამოცხადდა შესვენება.

17:05 საათზე განახლდა საქმის განხილვა.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე: გასაჩივრებული გადაწყვეტილების 7.7. პუნქტით სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება თუ უკანონობა სასამართლოს მიერ დგინდება უშუალოდ განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა შეუსაბამობის-განსაზღვრით. სასამართლო, ამ გადაწყვეტილების 4.1.2. პუნქტში მითითებული გარემოების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ სადავო 2.64 ჰა ტერიტორია აღარ ექვემდებარება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაცული ტერიტორიებისათვის დადგენილი სპეციალური დაცვის რეჟიმს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განმარტება არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული აქტის კანონიერება შემოწმებული უნდა იქნეს, ამ გადაწყვეტილების კანონიერების განხილვის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობა-შეუსაბამობის განსაზღვრით. აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება გულისხმობს მისი გამოცემის დროისათვის მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობას, თუმცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განხილვა უნდა მოხდეს მისი განხილვის დროისათვის მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არა ამ დროისათვის არსებულ მატერიალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას ასევე არ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარე ახსნა-განმარტებისათვის სიტყვას აძლევს მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს - მამუკა ივანიაშვილს, რომელიც ეთანხმება საქმეში წარმოდგენილ სააპელაციო შესაგებელს და ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას.

სხდომის თავმჯდომარე ახსნა-განმარტებისათვის სიტყვას აძლევს მესამე პირის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და საშენებლო ინსპექციის წარმომადგენელს - გიორგი ბარქაიას, რომელიც ეთანხმება საქმეში წარმოდგენილ სააპელაციო შესაგებელს და ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას.

სხდომის თავმჯდომარე ახსნა-განმარტებისათვის სიტყვას აძლევს მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენელს - ირაკლი ჟორჟოლიანს რომელიც ითხოვს აპელანტისათვის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას და დამატებით განმარტავს: მიმაჩნია, რომ ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი, რადგან იგი არ ეყრდნობა საქმეში არსებულ არცერთ უტყუარ მტკიცებულებას. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ სადავო 2.64 ჰა ტერიტორია შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ ეკუთვნის, ეს მხოლოდ აპელანტის მოსაზრებაა. „დარიალი ჰესი“ ნაკლები ეკოლოგიური საფრთხის შემცველი ჰესია, რადგან იგი სადერივაციო კაშხალს წარმოადგენს, განახლებადი ენერჯის წყაროა, რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის, რეალურად მდინარე არ იკეტება. აღნიშნულ პროექტს აფინანსებს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ეკოლოგიური უსაფრთხოება და რეალურად რაიმე საფრთხის შემცველი, რომ იყოს ეს პროექტი არ დააფინანსებდა მშენებლობას.

სააპელაციო პალატამ ადგილზე თათბირით

დაადგინა:

1. საქმეზე გამოცხადდეს შესვენება და სხდომა გაგრძელდეს 2012 წლის 14 ნოემბერს 11.00 საათზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპიდან.

მხარეები (წარმომადგენლები) ხელწერილით გაფრთხილებულნი იქნენ იმის შესახებ, რომ სასამართლო სხდომა გაგრძელდება 14.11.2012წ. 11.00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე:

ნანა ჭიჭილეიშვილი

სხდომის მდივანი:

თეა ტიღინაშვილი

